პეტრე გელხვიიძე

ხმა ზეციდან

(აზრები)

ქუთაისი **2023**

პეტრე გელხვიიძე - ხმა ზეციდან (აზრები)

ეძღვნება იუბილარ მეუღლეს, ლუბა გიორგის-ასულ ხარაბაძეს, რომელმაც თავისი 70 წლიანი ცხოვრებიდან 45 ჩვენი ოჯახის სილამაზეს, ქმარ-შვილის და ახლობელთა კეთილდღეობას მიუძღვნა. დაე, კიდევ მრავალი იუბილე და წარმატებული წლები იყოს მისი ლამაზი ცხოვრების თანამგზავრი. /09.09.2023/.

ელ.ფ. **petre.gelkhviidze@rambler.ru**
ტ. (0431)267705;
მობ. 551932278

© პ.გელხვიიძე 2023

- სიყვარულია ის ძალა, რომელიც აცოცხლებს ადამიანს.
- სიყვარულია უკვდავება; ადამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს.
- სიყვარული ზეციური უნარია, ხოლო ბედნიერება ამ უნარის რეალიზაციის შედეგი!!!
- დღეს ჩვენთვის განათლებაა ის კბილები, რომლითაც შეიძლება მყარად ჩაეჭიდო ეპოქას (ათასწლეულს).
- „სუსტი ურთიერთქმედება“ - მატერიალური დაინტერესებით განპირობებული ურთიერთობა.
- „ძლიერი ურთიერთქმედება“ - სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა.
- ღმერთი ჩვენი უსუსურობისაგან თავის დაღწევის და ჩვენივე ხსნის თავშესაფარია.
- ადამიანური მოვალეობების სხვებზე გადაბარება - პარალელურ სამყაროში გადასვლა.
- სიკვდილამდე ადამიანს მისი ცხოვრების არარაობის გაცნობიერება ანადგურებს.
- დღეს საქართველოში პატიოსნება უმწეობის სინონიმია.
- დიქტატორებს თავისი ბრწყინვალების ძეგლი უვიცობის ბორცვზე აქვთ დადგმული.

- ღმერთმა ადამიანის სახით ისეთი სათამაშო შექმნა, რომელიც თავის თავს ვერასდროს გადაახტება და თუ გადაახტა ისეთ უფსკრულში აღმოჩნდება, საიდანაც ვერასდროს ამოვა.
- დამწერლობა - ისტორიაში სამოგზაურო ტრანსპორტი.
- შემოქმედება - შემოქმედის მიერ „საბრალოს“ მიმართ გაღებული წყალობა.
- შემოქმედების პროცესში მარტოობა არ არსებობს.
- ადამიანები საკუთარ წარუმატებლობის მიზეზს სხვაში უფრო სიამოვნებით ეძებენ, ვიდრე საკუთარ თავში.
- თუ წინსვლისას სიტუაციას ვერ აკონტროლებ, ძალზე ადვილია „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდე.
- გენიოსები, ათასწლეულების სასწორით იწონება.
- რომ არ გაგვევლო ჟამიანობა, „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“-ც არ გვექნებოდა.
- ვინმე, რომ გაზომ-აწონო, თუნდაც მინიმალურ საზომ ერთეულად უნდა გამოდგებოდე.
- ამ სამყაროში ყველაფერზე უდიდესი განძი სულიერებაა, რომლის გაზომ-აწონვა სიყვარულით შეიძლება.

- სიძუნწე- გაჭივრებაა და ორმაგად გაჭივრება, თუ ის ტვინითაა განპირობებული და არა ობიექტური გარემოთი.
- შერევა ყოველთვის ლოგიკას არ ექვემდებარება, ერთ წვეთ ძმარს უზარმაზარი ქვევრის დაძმარება შეუძლია.
- საქართველოში ყველაფერში შეჯიბრია, მათ შორის იმაშიც კი, ვინ როგორ უფრო მეტად ავნოს ქვეყანას!
- ყველა დროში ქართული სახელმწიფოებრიობის მტრები „ოცდაათ ვერცხლად“ გაყიდული შინაური მტრები იყო.
- ამქვეყნად ყველა ცრემლებით მოდის, მაგრამ ბრილიანტებად ცრემლებისაგან ნათებას ერთეულები (მხოლოდ რჩეულები) ახერხებს.
- ცხოვრების აღმართზე ასვლაა ძნელი, თორემ ჩამოსრიალება თავისითაც ხდება.
- ჩვენთვის ჯერ სინამდვილე დგება და მერე ვიწყებთ მის გააზრებას, არადა ჯობდა გააზრებული დავხვედროდით სინამდვილეს!
- მთავარია კითხვის და ძახილის ნიშანი არ იყოს, თორემ წერტილი ყველას და ყველაფერს დაესმება.

- კითხვის და ძახილის ნიშნის დამსმელი კი არა, ის არის მაგარი, ვისაც წერტილის დასმა შეუძლია.
- თუ სხვისი დაფასება არ შეგიძლია, ეგ იმ სხვისთვის არაფერს არ ნიშნავს, და საერთოდ თუ სხვაში რაიმე კარგის დანახვა არ შეგიძლია, ეგ შენი გაჭივრებაა და არა სხვისი.
- <u>შეკითხვა</u>: ვისი უნდა ეშინოდეს ყველაზე მეტად ნორმალურ ადამიანს? - საკუთარი თავის.
- სიმდიდრე ის კი არ არის რასაც ამქვეყნად დააგროვებ, არამედ ის, რასაც ამქვეყნად დააგროვებ, მაგრამ იმქვეყნად ვერ წაიღებ.
- ბედნიერი ხარ, თუ მხრებით დაგაქვს შენი „ტაძარი“.
- ბუნებას უამრავი ყვავილი აქვს, ყველა ლამაზია, ასევეა ქალებიც და თუ ვინმე ამ სილამაზეს ვერ ხედავს, ეს მისი პრობლემაა და არა ბუნების.
- წიგნი, ღვინო და ქალი არ შეიძლება იყოს ცუდი. ცუდი შეიძლება იყოს მათდამი დამოკიდებულება გაუნათლებლობის და სიჩლუნგის გამო!!!
- ლამაზს კნინობითი ფორმა არ შეიძლება ქონდეს; არსებობს ლამაზი, ულამაზესი და ღვთიური.

- სიცოცხლის ხანგრძლივობა დროის ინტერვალით კი არ იზომება, არამედ ნაკეთები საქმით.
- ტვინი და პასუხისმგებლობის გრძნობაა ამქვეყნად პატიოსანი კაცის სასჯელი.
- სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდეა უსამართლობის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი.
- მადლიერებას ფრთები აქვს, უმადურობას ფესვები.
- ქალის შენიშვნა - „დაბერდიო“- სისხლის სამართლის დანაშაულის განაჩენზე უფრო მძიმეა.
- მე სიმკაცრის მომხრე კი არა, დამნაშავის დაუსჯელობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ.
- ადამიანს, რომ გენეტიკური კოდის ჯაჭვის სისტემა დაბლოკილი არ ქონდეს, სამყაროს საიდუმლოებებს გახსნიდა.
- მომავლის დასანახად წარსულში დაგროვილ საიდუმლოებათა (ცოდნის სისტემის) გასაღების მოძებნაა საჭირო.
- ადამიანის გონებაში ფაქტები „ფაილების“ სახითაა შენახული და რა სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მათგანის გახსნა ხშირად ვერ ხერხდება.
- სწრაფ პოპულარობას, დავიწყებაც შეიძლება სწრაფად მოყვეს.

- ცუდი საქციელი ეპიდემიაზე მეტად საშიშია!
- ალბათ, ამქვეყნად ყველაზე ადვილი, მორალის გარეშე ცხოვრებაა.
- ცხოვრებაში სულ იმის შიში მქონდა უზნეობის და ამორალობის საქვეყნოდ გამეფებულ ცუნამს არ გადაევლო ჩემზე და არ წაველეკე (არ ვიცი გავუძელი კი ამ შემოტევას???).
- ადამიანს უნდა (მ)აინტერესებდეს: -1) რა გა(ვ)ეცი; -2) ვის მი(ვ)ეცი (თუ ისევ შენიანს, გაცემულად ნუ ჩა(ვ)თვლი!); 3) თუ რაიმეს სანაცვლოდ, მაშასადამე, შე(ვ)ცდი!
- ახალგაზრდობა და სიბრძნე ასაკთან არ არის დაკავშირებული.
- მეცნიერული აზრი, რომელიც ახალ ამოცანებს არ ბადებს, მეცნიერულად არ ითვლება.
- ნულით ციფრის სტატუსის ამაღლება (ან დადაბლება) მყისიერად ხდება.
- რელიგია მეცნიერებაა მაშინ, როცა სულიერებაზე მსჯელობს, ხოლო ხელისუფლებაა მაშინ, როცა ხალხის მორჩილების საკითხითაა დაკავებული.
- დანახული, მხოლოდ გონების თვალით დანახვის შემდეგაა დანახული.
- მაძღარი ლომის „ჰუმანურობისა“ არაფერია დასაჯერებელი.
- სასიყვარულო ურთიერთობას სიბნელე კი არა, ესაჭიროება სინათლე.

- არ ვიცი სამყაროში როგორ არის განაწილებული და დედამიწაზე კი უვიცობის და ავკაცობის უდაბნოს ბევრად მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე აზროვნების და სიკეთის ოაზისს.
- ზოგჯერ ადამიანებს დინების საწინააღმდეგოდ უწევს სვლა, არა იმიტომ, რომ არ იცის დინების მიმართულება.
- ქართველი - ყველა შესაძლო ატრიბუტით შემკობილი (უკიდურესი უარყოფითი თვისებებიდან, უკკიდურეს დადებით თვისებებამდე) -ილია ჭავჭავაძის წუხილი, ჭაბუა ამირეჯიბის განსჯა.
- წიგნი - საკაცობრიო საგანძურის სათავსო!
- სიყვარული სამყაროს უდიდესი საიდუმლოებაა, ამ საიდუმლოებას ორპოლუსიან სამყაროში მინიმუმ ორი არსება სჭირდება, ხოლო მაქსიმუმ ორი მოაზროვნე.
- რა დაღუპავს კაცობრიობას? - მტრობა, ზიზღი და გაუტანლობა!!!
- რა გადაარჩენს კაცობრიობას? - შრომა, ერთგულება და სიყვარული!!!
- თუ არამზადას იმისათვის ებრძვი, რომ მისი ადგილი დაიკავო, მაშინ მასზე უფრო ორჯერ (და მეტად) არამზადა ხარ!
- სიბერე - სიახლისადმი დიდი სიფრთხილე და კონსერვატიზმი.

- ახალგაზრდობა - დაუოკებელი ჟინი დიდი მწვერვალების დაპყრობისა.
- <u>ეფექტის არსი</u>; ერთი ღერი თმის საშუალებით კარგად განისაზღვრება: /ერთი ღერი თმა მელოტი კაცის თავზე ღიმილის მომგვრელია, მაგრამ იგივე ერთი ღერი თმა, საკვებში ნაპოვნი კი . . . უსიამოვნების და ზიზღის/.
- კაცობა, ცათამბჯენია და ბედნიერია ის, ვისაც ეს ცათამბჯენი მარადისობის (სიყვარულის) ფუნდამენტზე აქვს აგებული.
- ხელოვნებაშია სულის უკვდავება.
- თავი, ის ქვაბია, რომელშიც კარგად მოხარშულ აზრებს აქვს ფასი.
- რა საამური იქნება ცხოვრება ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსის საქმიანობა მორალზე და სამართლიანობაზე იქნება დაფუძნებული!
- სამწუხარო რეალობით განპირობებული <u>შეკითხვა</u>: ყოველთვის არის თუ არა სამართლიანი ხალხის ნება? - ყოველთვის არა (პონტი პილატმა გაითვალისწინა ხალხის ნება და . . . მიიღო რა???, ქრისტე ჯვარზე გააკრეს!!!)
- <u>„თეთრი შური“</u> - როგორც ყორანი ვერ გათეთრდება, ისე შური ვერ გათეთრდება.
- <u>გამოღვიძება</u> - ამქვეყნიური არარაობიდან გაცლა.

- პრინციპული ადამიანი პრინციპებს არ ღალატობს; ჯიუტი თავის სიჯიუტეს არ იშლის; - პრინციპულობა საქმეს შველის, სიჯიუტე კი საქმეს ვნებს!
- არაკომპეტენტური მოხელის მეთოდი: მოიცილე პრობლემის აღმომჩენი და პრობლემაც აღარ იქნება!
- მუზა - შეგონება ზეციდან.
- ინტელიგენტობა ის ღვთიური უნარია, რომლის გაზომ-აწონვა დიპლომებით ან კიდევ მატერიალური სიმდიდრით შეუძლებელია.
- ადამიანებისათვის ისტორიის კარი ღიაა, მაგრამ შიგ მხოლოდ ტვირთით შესულთათვის მოიძებნება ადგილი!